ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება ქალებს!



## გულითადი მილოცვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა ქალებს მხურვალედ მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი — დემოკრატიისა და სოციალიზმისთვის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისთვის, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, მშვიდობისთვის მთელი მსოფლიოს ქალთა სოლიდარობის საბრძოლო დღესასწაული.

„წლეულს, ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, — ნათქვამია მიმართვაში, — ჩვენი ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს. კომუნისტურ მშენებლობასა და სამშობლოს დაცვაში საბჭოთა ქალების თვალსაჩინო დამსახურებისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ეს დღე უქმედ არის გამოცხადებული. იგი აღინიშნება სკკპ XXIII ყრილობის წინ. ჩვენს ქვეყანაში გაიშალა საერთო-სახალხო განხილვა ყრილობის დირექტივების პროექტისა ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება.

პატრიოტული შემოქმედებითი საქმეებითა და თავდადებით საბჭოთა ქალებმა მთელი ჩვენი ხალხის უდიდესი პატივისცემა მოიპოვეს. მამაკაცებთან ერთად ისინი თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, გმირულად იცავდნენ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვრებს დიდი სამამულო ომის წლებში. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს სამშობლოს სოციალისტურ გარდაქმნაში".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ხაზგასმულია საბჭოთა ქალების დიდი დამსახურება კომუნისტური მშენებლობის, ახალი თაობის აღზრდის, მშვიდობის დაცვის დიდ და საპატიო საქმეში.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ნათქვამია მიმართვაში, — გისურვებთ დიდ წარმატებებს ყველა საქმესა და კეთილ წამოწყებაში, ჯანმრთელობას, სიხარულსა და მშვიდობიან ცხოვრებას.

სახელი და დიდება საბჭოთა ქალებს!".

## ფეხბურთის მინდვრებზე

ბუენოს-აირესი, 7 მარტი. ბრაზილიასა და ჩილეში გამოსვლების შემდეგ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები პირველ მატჩში შეხვდა არგენტინის ქალაქ მენდოსის „ინდეპენდიენტე რივადავიას" და გაიმარჯვა — 5:1 (2:0). საბჭოთა ფეხბურთელთაგან გოლების ავტორები არიან: მეტრეველი (2), ბიბა, კოპაევი და ჰუსაინოვი. ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, გეტმანოვი, უსატორე, დანილოვი, ვორონინი, აფონინი, მეტრეველი, საბო, ბანიშევსკი, ბიბა და კოპაევი. II ტაიმში ითამაშეს აგრეთვე პონომარიოვმა, ჰუსაინოვმა, მალაფეევმა და მესხმა.

**სოფია**, 7 მარტი. ცსკა-ს ფეხბურთელებმა მეორე მატჩში დაამარცხეს ქ. ველინგრადის „ჩეპინეცი" — 2:0.

ბეირუთი, 7 მარტი. პირველი მატჩი გამართეს ლიბანში სსრ კავშირის ჩემპიონებმა — მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა და დაამარცხეს ცნობილი ლიბანური კლუბების — „რესინგისა" და „ხომენტმენის" ნაკრები — 1:0.

**ბელგრადი**, 7 მარტი. პირველ მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა სძლიეს ქ. პორეჩის „იადრანს" — 3:0.

ყველაზე ძვირფასი ჯილდო — 8 მარტის სახელობის თასი მოიპოვეს ლიტვის სპორტსმენმა ქალებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ქ. რუსეში (ბულგარეთი) საერთაშორისო ტურნირზე მაგიდის ჩოგბურთში. გუნდური ტურნირის ბოლო მატჩში მათ სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს — 3:0. II ადგილზე გავიდნენ იუგოსლაველები, III — ჩეხოსლოვაკიელები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 47 (3024)

1966 წ. 8 მარტი. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спор..вных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი




## ოქროს მაძიებელი მასპინძლები

### საშიშე — მოსკოველი

სვერდლოვსკი, 7 მარტი. უკტუსის მთების სათხილამუროზე დღეს იასპარეზეს ქალებმა. 5-კილომეტრიანი რბოლა მოიგო ადგილობრივმა მკვიდრმა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა კ. ბოიარსკიხმა — 18.46,0. ვერცხლის მედალი მოიპოვა ა. კოლჩინამ (მოსკოვი), რომელიც 14 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს. ბრინჯაოს მედალი მოიგო ნ. ტერეხინამ (მოსკოვის ოლქი) — 19.05,0. იუნიორთა შორისაც სვერდლოვსკელმა აჯობა ყველას. ესაა პირველთანრიგოსანი ლ. დორონინა — 20.10,0.

„მფრინავ მოთხილამურეთა" დღეს გამართულ შეჯიბრებაში უძლიერესი აღმოჩნდა 20 წლის ვ. ემელიანოვი (სვერდლოვსკის ასკ). ჩემპიონი გადახტა 78,5 (ტრამპლინის რეკორდი) და 76 მეტრზე და დააგროვა 224 ქულა. „ვერცხლს" დაეპატრონა ლენინგრადელი ნ. იაბლოკოვი (219,1 ქულა; 78 და 76 მ), „ბრინჯაოს" — ასევე ლენინგრადელი პ. კოვალენკო (215,2 ქულა; 75 და 77 მ). სახელგანთქმული მხტომელები კ. წაქაძე, ნ. კამენსკი და ნ. შამოვი ათეულის მიღმა დარჩნენ.

ტერსკოლი, 7 მარტი. დღეს აქ გაიმართა სამთო-მოთხილამურე ქალთა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში, რომლის რთულ ტრასას ასეთი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა: სიგრძე — 1520 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 410 მ, კარი — 64. ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა ე. კაბინამ (მოსკოვი) — 1.59,9. მომდევნო საპრიზო ადგილებიც მოსკოველებმა დაიკავეს: გ. შიხოვამ (2.02,3) და ნ. მერკულოვამ (2.03,4).

## ვარდო უტევს ოსტატობის ზღუდეს

ლენინგრადში გაიმართა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ზამთრის პირველობა მძლეოსნობაში. ტურნირში ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტულ ღირსებას სხვებთან ერთად იცავდა სპრინტერი ვარდო ქუთათელაძე. ამ გოგონამ ორ დისტანციაზე სცადა ძალები და ორივეჯერ პირველი მივიდა ფინიშთან: მოიგო 60 და 100 მეტრზე რბენა.

განსაკუთრებით მაღალი იყო მისი მაჩვენებელი 100 მეტრზე — 12,0. სეზონის დასაწყისისთვის ასეთი შედეგის მოპოვება იმის გარანტიას იძლევა, რომ ვარდოს წლეულს ყველა შანსი აქვს შეასრულოს სპორტის ოსტატის ნორმა (საამისოდ მან ეს დრო უნდა გააუმჯობესოს 0,3 წამით).



როგორც მკითხველი შეამჩნევდა, „ლელო" უკვე კარგა ხანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩვენში მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის განვითარების საკითხებს. ამიტომ ამჯერად, ქალთა დიდი დღესასწაულის დღეს, ჩვენ სიტყვა მივეცით სწორედ ამ სახეობათა წარმომადგენელ ქალებს და მათ მივმართეთ ასეთი შეკითხვით: „დღესდღეობით რა უფრო გაღელვებთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში?"

ვბეჭდავთ მათ პასუხებს.



მ. ჯუღელი,

ოლიმპიური ჩემპიონი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დღესასწაულის დღეებში არ არის მიღებული ავგის თქმა. ამიტომ ამ „ტრადიციას" არც მე დავარღვევ. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ქართულ ტანვარჯიშში გამოჩნდნენ იმედის მომცემი სპორტსმენები. პირველ ყოვლისა ვგულისხმობ ა. ჯანუყაშვილს, რომელიც ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა სსრ კავშირის შარშანდელ აბსოლუტურ პირველობაზე. სასიხარულოა ისიც, რომ პერსპექტიული ტანმოვარჯიშეები რ. ბერიკაშვილი და რ. ჩაჩხიანი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდნენ.

ერთი რამ დიდი გულისტკივილით უნდა ვთქვა: ზოგიერთ მშობელში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია ის მავნე აზრი, თითქოს ფიზიკური ვარჯიშების ადრეული დაწყება ხელს უშლის ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ეს მტკნარი სისულელეა! მოვუწოდებ მშობლებს — ადრეული ასაკიდანვე აქტიურად ჩააბან თავიანთი ბავშვები ტანვარჯიშში: ეს ხელს შეუწყობს ნორჩთა ფიზიკურ განვითარებას და უფრო ნაყოფიერს გახდის მათ სწავლას.

• • •

სურათზე: მ. ჯუღელი თავის ქალიშვილთან, ციგურებით ფიგურულ სრიალში საქართველოს პირველ ჩემპიონთან ირინესთან ერთად.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„ლელო" ინტერვიუ

გაღალ შუბლზე ფიქრებისა და განცდების კვალი აღბეჭდია. თმა გაჭაღარავებია. სული კი კვლავ ახალგაზრდული აქვს და ჭკვიანი, შავი თვალები შინაგანი ცეცხლით გიზგიზებს... მან ბევრი ნახა, ბევრი განიცადა, ბოლოს მაინც იხილა ის, რისთვისაც ახალგაზრდობიდანვე იღვწოდა.

ქართულმა ტანვარჯიშმა რომ ბრწყინვალე გამარჯვების ფურცლები ჩაწერა სპორტის ისტორიაში, ამაში ნატო ცნობილაძესაც მიუძღვის თავისი წვლილი. ჯერ იყო და 1918 წელს, ქუთაისში დათა ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული „შევარდენის" ქალთა ერთ-ერთ ჯგუფს წვრთნიდა. შემდეგ 1920 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებასთან ერთად, თბილისში ტანვარჯიშის საკვალიფიკაციო კურსები გაიარა და ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში ტანვარჯიშის მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ეს აქტიური, დაუღალავი მუშაკი ბათუმში გადაიყვანეს, ქალთა განყოფილების უფროს მწვრთნელად დანიშნეს. ნატომ 3 წელი უხელმძღვანელა მინდობილ საქმეს, შემდეგ კი სასწავლებლად თბილისში გადმოვიდა და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

არც სტუდენტობის დროს მოუსვენია ნატოს. უნივერსიტეტში სტუდენტების მომზადებას მოჰკიდა ხელი, ამასთან, საშუალო სკოლებშიც დადიოდა და პატარებს ტანვარჯიშის სიყვარულს უნერგავდა. 1937 წლიდან ნატოს მთამსვლელთა შორისაც ვხედავთ. უამრავ ლაშქრობაში მონაწილეობდა. პირველად იალბუზზე მიიტანა იერიში და ბრწყინვალედაც დააგვირგვინა იგი.

ნატო ცნობილაძის სპორტული მოღვაწეობის თავფურცელი იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში თითო-ოროლა ქართველი ქალი გამოდიოდა ასპარეზზე. სწორედ ამიტომაც არის განსაკუთრებით დასაფასებელი ეს მოღვაწეობა.

1939 წელს ნატოს მეუღლე გარდაეცვალა. დარჩა ორი შვილის ამარა. მაგრამ შვილებისათვის ერთი წუთითაც არ დაუმჩნევია უმამობა. მთელ ძალ-ღონეს ახმარდა მათს აღზრდას და, ამასთან, არც სპორტში საზოგადოებრივ საქმიანობას ივიწყებდა.

1941 წელს კოჯორში სამთო-სათხილამურო სპორტის დანერგვაში მისი ხელიც ერია. სამამულო ომის მძიმე წლებში ნატომ ბევრი იღვაწა სამხედრო ვალდებულთა ფიზიკური მომზადებისათვის. 1943 წელს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა იგი ამისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

1945 წელს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა კვლავ საპატიო სიგელით დააჯილდოვა ნატო ცნობილაძე, ამჯერად — როგორც საქართველოს ალპური კლუბის პასუხისმგებელი მდივანი. 1945-1955 წლებში კი იგი უკვე ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტშია სახელმწიფო მწვრთნელის პოსტზე და მეურვეობას უწევს სათხილამურო სპორტს, ფარიკაობასა და ველოსპორტს. ნ. ცნობილაძე არაერთხელ ყოფილა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების მდივანი.

სულ 42 წელი იმუშავა „შტატით" სპორტის დარგში ამჟამად პენსიაზე გასულმა, ამაგდარმა ქალმა და მაინც დღესაც ვერ ელევიან სპორტის მესვეურნი. ტანვარჯიშის ფედერაციამ ნ. ცნობილაძე კვლავ აირჩია საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის წევრად. და ისიც კვლავინდებური ენთუზიაზმით ემსახურება სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარებულ შეჯიბრებებს, სადაც უცვლელად ასრულებს მდივნის მოვალეობას.

ვინ არ იცნობს ჩვენს ნატოს! ვის არ უყვარს იგი! ამას იგი უზადო პუნქტუალობით, გულითადობითა და სიფაქიზით იმსახურებს.

ამით არ მთავრდება ნ. ცნობილაძის სპორტული ბიოგრაფია. სპორტისადმი სიყვარული მას შვილებისთვისაც გადაუცია. ყველა იცნობს ტანვარჯიშში სპორტის ოსტატს, წყლის თხილამურებში საქართველოს ჩემპიონს შულნარა ცნობილაძეს. შულნარა მარტო ტანმოვარჯიშე და მოთხილამურე კი არა, კარგი გეოლოგიცაა.

არც ნატოს ვაჟი გიორგი ჩამორჩენია დედასა და დას. პროფესიით ინჟინერი, იგი კარგად ფლობს წყლის თხილამურებს.

ასეა: რაც ერთხელ მაინც სულს დააჩნდება, საშვილიშვილოდ გადაეცემა!

ეთერ ხახუბია,
სპორტის ოსტატი.



სურათზე: ნ ცნობილაძე თავის ქალ-ვაჟთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# ქვირიდ...

**საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა.** 5 ...ის ასპარეზობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურ... ...ლები. II ადგილზე არიან სვერდლოვსკის ოლქის სპორტსმენები, მესამეზე — ლენინგრადელები.

**სვერდლოვსკი.** 30 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში ყველას აჯობა ახალგაზრდა ა. აკენტიევმა (მოსკოვი) — 1:46.23,0. II ადგილზეა ი. უტრობინი (მოსკოვის ოლქი) — 1:46.43,0, III — გ. სმირნოვი (ნოვოსიბირსკის ოლქი) — 1:47.12,0.

**ტერსკოლი.** ჩეგეტის მთის ფერდობებზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. 2650-მეტრიანი რთული ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა 720 მ) ყველაზე სწრაფად დაფარა 26 წლის ტ. მონასტირიოვმა (მოსკოვი). ახალგაზრდა სპორტსმენმა, რომელიც ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დადგა სტარტზე, საშუალოდ საათში 85 კმ სისწრაფით გაიქროლა ტრასაზე, ალაგ-ალაგ კი 120 კმ განავითარა. ჩემპიონის დროა 1.52,1. II ადგილზეა ვ. ტალიანოვი (მოსკოვი) — 1.53,6, III — ვ. მელნიკოვი (მურმანსკის ოლქი) — 1.56,5. საქართველოს სპორტსმენთაგან ყველას აჯობა ზ. კახიანმა—2.06,8. პირველი სახეობის შემდეგ საქართველოს გუნდი X ადგილზეა — 211,37 ქულა.

**მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში.** ლიუბლიანა. III ტურის მატჩები

# 2 რეკორდი

თბილისის „დინამოს" სტადიონზე გრძელდება საქართველოს მოსწავლეთა ზამთრის შეჯიბრება მძლეოსნობაში. მონაწილეებმა მთელ რიგ სახეობებში აჩვენეს მაღალი შედეგები, ხოლო ორმა გააუმჯობესა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდები. ესენი არიან თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი ე. კონდრატიევი (ფიზაღზრდის მასწავლებელი ი. კომაძე, მწვრთნელი ე. გაგუა) და ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ი. ცანავა (მწვრთნელი ვ. ნედამკოვსკი).

კონდრატიევმა რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე რბენაში (22,5) და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი, ხოლო ი. ცანავამ თავი ისახელა 1.000 მეტრზე რბენაში — 2.37,8.

# 10 საუკეთესო

შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 10 საუკეთესო მსაჯის სია. ესენი არიან: ი. გრიგორიევი (კიევი), ვ. კოტოვი (ლენინგრადი), ს. კოჩარიანი (ერევანი), რ. მედვედევი (მოსკოვი), გ. პინსკი (ლვოვი), ნ. პროსტიაკოვი (მოსკოვი), ე. სემიონოვი (მოსკოვი), ი. ტომოვი (კიევი), გ. ხარებოვი (მოსკოვი), ვ. იაკოვლევი (მოსკოვი).

**რედაქციისგან:** როგორც ხედავთ, ათეულში არ არის არც ერთი მსაჯი საქართველოდან. ხომ არ დადგა დრო, რომ წყალბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ ბოლოსდაბოლოს იზრუნოს მაღალკვალიფიციური მსაჯების მომზადებისათვის, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ საკავშირო შეჯიბრებებს? ზემოაღნიშნული სია ხომ არ მიასწავებს იმას, რომ, როგორც შარშან, ისე წლეულს, საკავშირო მატჩების არბიტრებად ვერ ვიხილავთ ჩვენი რესპუბლიკის ვერც ერთ წარმომადგენელს?!

## ცხინვალი

ქალაქის საჭიდაო დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს პირადი პირველობა სამბოში. მონაწილეობდნენ ცხინვალის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონების წარმომადგენლები. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ფ. ჯუსოევი (ზნაური), ნ. ქოზაევი, თ. ხასიევი (ორივენი — ცხინვალი), ვ. ფუხაევი (ზნაური), ბ. ცხოვრებოვი (ცხინვალი), ი. გაზაევი (ზნაური), კ. ბაბაევი (ცხინვალი) და ს. გობოზოვი (ზნაური).

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

## ოჩამჩირე

დამთავრდა მოსწავლე-კალათბურთელთა საქალაქო პირველობა. როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს 1-ლი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

შ. ხოშაავა.



# ლამარა ტულუშის საჩუქარი

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოს კარგი საჩუქარი უძღვნა სპორტის ოსტატმა ლ. ტულუშმა. ლენინგრადში, ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მძლეოსანთა ზამთრის პირველობაზე, ქართველმა ათლეტმა ბადრო ტყორცნა 48,83 მეტრზე და I ადგილი დაიკავა. მან უკან ჩამოიტოვა სსრ კავშირის შარშანდელი პირველობის პრიზიორები ე. შჩერბაკოვა და ა. ხალანცოვა.

აღსანიშნავია, რომ ლენინგრადში გამგზავრებამდე ტულუშმა განახორციელა 18 საცდელი ტყორცნა, რომლის დროს შვიდჯერ გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას (ამ შედეგთაგან საუკეთესო იყო 50,11 მ).

# მასირებული დაცვის წინააღმდეგ

თბილისის „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მოედანზე გუშინწინ გაიმართა დედაქალაქის რეგბისტთა ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები. პირველად მინდორზე გამოვიდნენ „დინამოს" I და II გუნდები. მეორე კოლექტივის სპორტსმენები თავგამოდებით იბრძოდნენ ყველა ხაზში. ძლიერ მეტოქეს ისინი საშუალებას არ აძლევდნენ გაეშალათ თამაში, რის გამო პირველმა გუნდმა ვერაფერი გაეწყო „დუბლიორთა" მასირებული დაცვის წინააღმდეგ. შესვენებამდე მან მხოლოდ ორჯერ შეძლო ბურთის დადება ჩასათვლელ არეში და ერთხელაც ძელებს შუა გაატარა იგი — 8:0. შესვენების შემდეგ გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. მატჩი მოიგო „დინამო" I — 11:3.

„ლოკომოტივასა" და „ელმავლის" მატჩში გაიმარჯვა პირველმა — 30:12.

ო. ივლოშვილი.

# მატარებელი მიდის ბაქოში

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშრომელთა ორგანიზებული დასვენების შემდგომი გაუმჯობესების, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების გაფართოებისა და მასობრივი ტურიზმის განვითარების საკითხებს. აქედან გამომდინარე, ტურიზმი, როგორც ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მშრომელთა აქტიური დასვენების ყველაზე მასობრივი ფორმა, მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელთა მეგობრული კავშირის შემდგომი განვითარების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მონათესავე დარგების მუშაობის გამოცდილების გაზიარებისა და აზერბაიჯანის დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობის მიზნით, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ ამ დღეებში მოაწყეს ტურისტული მოგზაურობა ბაქოში.

მატარებელი, რომელმაც თბილისი 6 მარტს დატოვა, შედგება 17 კომბინირებული ვაგონისგან. და აი, მეორე დილით 10 საათზე აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩავიდა თბილისის მშრომელთა 650 წარმომადგენელი.

... თვალუწვდენელია ჩვენი სამშობლოს საზღვრები. წარმტაცია და მრავალფეროვანი მისი ბუნება, აურაცხელია მისი წიაღისეული სიმდიდრეები... ყოველწლიურად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც აინტერესებთ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა გამრჯე მარჯვენით შექმნილი კომუნისტური მშენებლობის ობიექტების ნახვა. ამაში მათ სწორედ ტურიზმი ეხმარება.

ჩვენი ქვეყნის სახელოვან ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე ბაქოც — მსხვილი საწარმოო, კულტურული და სამეცნიერო ცენტრი მოძმე აზერბაიჯანისა.

ნავთობის მრეწველობის ერთ-ერთი მთავარი კერა — ბაქო — უძველესი ქალაქია, რომელმაც ზოგიერთ რაიონში დღემდე შეინარჩუნა აღმოსავლური იერი. ქალაქის ნამდვილი გაფურჩქვნა დაკავშირებულია საბჭოთა ეპოქასთან. მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, მუზეუმები და სპორტული ნაგებობანი ქალაქის მძლავრ მაჯისცემაზე მეტყველებენ.

ტურისტები ორი დღის განმავლობაში გაეცნობიან ჩვენი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, დაათვალიერებენ ისტორიულ ძეგლებს, მრეწველობისა და კულტურის ობიექტებს...

მეგობრობის მატარებელი თვალსაჩინო როლს შეასრულებს საბჭოთა ტურიზმის განვითარებაში და კიდევ უფრო დააკავშირებს აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელებს.

ა. ჯანჯღავა,
ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

# დღის ამბები...

6 მარტი

...დამთავრდა: კანადა — ფინეთი 9:1, ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი 6:1, ...ცია — აშშ 6:1, სსრ კავშირი — გდრ 10:0. შაბათს საბჭოთა ჰოკეის... ...მა დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები — 11:0.

...მოგვყავს ჩემპიონატის უძლიერესთა ჯგუფის სატურნირო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 29:1 | 6 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 3 | 0 | 0 | 22:3 | 6 |
| კანადა | 3 | 3 | 0 | 0 | 20:2 | 6 |
| შვეცია | 3 | 2 | 0 | 1 | 12:6 | 4 |
| გდრ | 3 | 1 | 0 | 2 | 4:17 | 2 |
| ფინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:22 | 0 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:20 | 0 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 3:24 | 0 |

**...ოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.** ქაირო. საბჭოთა სპორ...მენებმა გადამწყვეტ მატჩში „მშრალი" ანგარიშით (3:0) დაამარცხეს ...რიკის შეერთებული შტატების გუნდი და დაისაკუთრეს „ერების თა...". ლეიუსმა მოუგო გრებნერს (6:3, 6:2), მეტრეველმა — რისენს (2:6, 6:4, 7:5). მესამე ქულა გუნდს შესძინა ლიხაჩოვ — ლეიუსის წყვი...ლმა, რომელმაც მოუგო გრებნერ — რისენის დუეტს — 6:4, 6:2.

**მოცურავეთა საერთაშორისო მატჩი.** ჰააგა. ჰოლანდიისა და სსრ კავშირის მოცურავეთა შეჯიბრება უკვე ტრადიციად იქცა. თავი გამოიჩინა ს. ბაბანინამ: 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მან დაამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი — 5.33,6. მაგრამ ამ შედეგით იგი ფინიშთან მეორე იყო. გაიმარჯვა ჰოლანდიელმა ბ. ჰაიკელსმა — 5.27,4. ამ ორი ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გდრ-ის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთ ქვეყანაში დაპატიჟეს საბჭოთა მოცურავეები. ეს შეხვედრები გაიმართება 8 და 9 მარტს.

**ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში.** მოსკოვი. ვაჟთა 8 უძლიერესი გუნდი განაგრძობს ბრძოლას ფინალში გასასვლელად და „ვერცხლის კალათის" მოსაპოვებლად. ამ მეტისმეტად ძნელ გზაზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ საკმაოდ რთული წინაღობა დაძლია — დიდი ანგარიშით დაამარცხა იუგოსლავიის „ზადარი" — 79:49 (42:24). ამ გუნდების საპასუხო ნახევარფინალური მატჩი გაიმართება 13 მარტს იუგოსლავიაში.

**საერთაშორისო ამხანაგური...** სოფია. ბულგარეთის დედაქალაქში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩერვენო ზნამისა" და მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდები. მე-17 წუთზე ანგარიში გახსნა მასპინძელმა იეკიმოვმა. შესვენების შემდეგ ფედოტოვმა მოახერხა საპასუხო გოლის გატანა და თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

## მიხეილ ტალი გელერ — ლარსენის მატჩის შესახებ

10 მარტს კოპენჰაგენში დაიწყება მატჩი ორ ცნობილ დიდოსტატს — ბენტ ლარსენსა (დანია) და ეფიმ გელერს (სსრ კავშირი) შორის. ორთაბრძოლა განსაზღვრავს, თუ რომელი მათგანი დაიშვება შესარჩევი შეჯიბრების გარეშე 1967 წლის საზონათაშორისო ტურნირში.

მე ვთხოვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ტალს გაეზიარებინა თავისი აზრები მომავალ მატჩზე:

● რა შეგიძლიათ თქვათ გელერსა და ლარსენზე?

— ორივე დიდოსტატი ჩემი მეგობარია, ამიტომ მათზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. მაგრამ თქვენ ხომ ობიექტური დახასიათება გსურთ? მაშინ უნდა მოგაგონოთ, რომ ლარსენი გელერზე 10 წლით უმცროსია. სახელდობრ, 8 მარტს გელერი 41 წლის გახდება, 4 დღით ადრე კი ლარსენს 31 წელი შეუსრულდა.

გელერი დაბალი ტანისაა, აჩქარებელი და მოლიმარი, ლარსენი — აწოწილი, მოძრავი და სერიოზულია. ერთიც და მეორეც ზღვის შვილია: ეფიმი — შავისა, ბენტი — ჩრდილოეთისა. დაბოლოს, რაც მთავარია, ორივენი შესანიშნავი დიდოსტატები არიან.

● თქვენი აზრით, რა არის ამ მოჭადრაკეებში საერთო და რა განასხვავებს მათ?

— ორივე დიდოსტატი სტრატეგიული მიმართულებისაა, რომლის სათავეში მ. ბოტვინიკი დგას.

შემოქმედებითი ხელწერით ლარსენი მოგვაგონებს 20-30-ანი წლების გამოჩენილ დიდოსტატ ნიმცოვიჩს. ვიტყოდი: როცა ლარსენის საწინააღმდეგოდ ემზადები, დაეწაფე ნიმცოვიჩს.

თუმცა გელერი და ლარსენი სტრატეგები არიან, მაგრამ ამას ისინი სხვადასხვანაირად იყენებენ: მაგალითად, გელერს მუდამ აქვს მხედველობაში ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, „ფარული" ფაქტორები. მისი პარტიის აღნაგობა და მთლიანად შემდგომი თამაში ექვემდებარება უაღრესად ფხიზელ შეფასებას (მეტოქის განწყობას, სატურნირო მდგომარეობას და, რაც მთავარია, სიტუაციას საჭადრაკო დაფაზე).

ლარსენს უფრო ხშირად სხვა რამეზე აქვს აგებული თამაში. მისთვის მთავარია მოულოდნელი იდეით გააოცოს მეტოქე. ჩანაფიქრს იგი ახორციელებს მომხიბლავი ენერგიით და ვიტყოდი კიდეც, რომ ამით იგი თითქოს ჰიპნოზს უკეთებს მეტოქეს. ამავე დროს, ლარსენს შეუძლია ითამაშოს მოჭადრაკე სტრატეგების უაღრესად კლასიკურ სტილში. სწორედ ასე მოიგო მან ჩვენს მატჩში I და V პარტიები.

რაც შეეხება ბრძოლის ტაქტიკას, ლარსენმა იცის მისი შეცვლა. იუგოსლაველ ივკოვთან მატჩში დანიელი დებიუტებს უპრეტენზიოდ თამაშობდა და ცდილობდა მიტელშპილში გაეჩაღებინა რთული თამაში, დიდი ხნით დაეფიქრებინა მეტოქე და ცაიტნოტში ჩაევდო. ჩემთან ყოველ პარტიაში ლარსენი მიისწრაფოდა უკვე პირველი სადებიუტო სვლებით მიეღო უპირატესობა და შეეზღუდა ჩემი ფანტაზია პარტიის შუაგულში.

● გელერს ჭადრაკის აკადემიკოსს უწოდებენ. მასზე ამბობენ: „ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის, ყველაფერი შეუძლია". ლარსენზე იგივე შეიძლება ითქვას?

— ორივე დიდოსტატი მეტად ერუდირებული მოჭადრაკეა. თუ ლარსენს კიდევაც აქვს რაიმე ხარვეზი, იგი ძალიან უმნიშვნელოა. ერთადერთი, რაშიც ლარსენი შესამჩნევად ჩამოუვარდება გელერს, ესაა ტექნიკა.

● გელერზე რაღას იტყვით? იგი რამეში ჩამორჩება ლარსენს?

— დიახ, ჩამორჩება. პარტიის მსვლელობისას ყურადღების კონცენტრაციაში. ავიხსნით: გელერი უშვებს შეცდომებს, „შეუძლია" ვერ დაინახოს ფიგურის დაკარგვა და დამარცხდეს. ლარსენმა რომ წააგოს, მას უნდა მოუგო.

● ლარსენს ის უპირატესობა აქვს, რომ კოპენჰაგენში თამაშობს და მას ყველა უქომაგებს. მოახდენს თუ არა ეს გავლენას ორთაბრძოლაზე?

— გულშემატკივრების მხარდაჭერა — ეს ბუმერანგია: შველის, როცა მოჭადრაკე წარმატებით გამოდის, ხელს უშლის, როცა ყველაფერი რიგიანად არ მიდის.

● თქვენი აზრით, როგორ აეწყობა მატჩი?

— დარწმუნებული ვარ, რომ იგი საინტერესო და საბრძოლო იქნება. ორივე დიდოსტატი ჩვეულებრივ ძალიან კარგად არის მომზადებული თეორიულად და ფსიქოლოგიურად. მაგრამ მაინც მგონია, რომ, თუ გელერმა I პარტია მოიგო, მატჩი მის სასარგებლოდ დამთავრდება. გამარჯვების შემდეგ გელერი ბრწყინვალედ თამაშობს. მან ძალიან კარგად იცის გამოყენება იმ ზურგქარისა, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ დროს ამოვარდება. ამის მაგალითია გამარჯვება სმისლოვთან მატჩში.

თუ კი გელერი ხელიდან უშვებს მოგებას I პარტიაში, მერე ძალიან მერყევად და გაუბედავად თამაშობს. უნებლიედ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მომდევნო პარტიების თამაშისას იგი სულ ფიქრობს: მაშინ სხვანაირად რატომ არ ვითამაშე? მატჩი მოკლეა, ძნელია გამოასწორო ერთხელ წახდენილი მდგომარეობა, ამიტომ I პარტიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საერთოდ, მატჩი 8 პარტიიდან— ეს ლატარიის ბილეთია.

ვის შეხვდება უფრო ბედნიერი ბილეთი? გულწრფელად გეტყვით: არ ვიცი.

ი. ზარუბინი,
საერთაშორისო არბიტრი.

## ვისი ბილეთი უფრო ბედნიერია?



ე. გოკიელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

ჩვენს მძლეოსნობაში ჯერ კიდევ ბევრი ხელშემშლელი ფაქტორია. განსაკუთრებით იგრძნობა ბაზების სიმცირე. ქუთაისს, ფოთს, გორს, ხაშურს, თელავს, ახალციხესა და მრავალ სხვა ქალაქსა თუ რაიონს ან სრულებით არ გააჩნია სარბენი ბილიკები, სატყორცნი და სახტომი სექტორები, ან ისინი ვერ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნებს. მძლეოსნობა კი სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც ყოველდღიურ გეგმაზომიერ წვრთნას მოითხოვს.

ძველი თაობის წარმომადგენლებს დიდად გვაღელვებს ქალთა რეზერვის საკითხიც. ჩვენში საოცრად მცირე ყურადღებას უთმობენ მძლეოსნობაში გოგონათა მასობრივად მიზიდვას, ხოლო თითო-ოროლა ნიჭიერი ქალიშვილის გამოვლინებას, ცხადია, არ ძალუძს ამ საკითხის დადებითად გადაჭრა.

მძლეოსნობის განვითარებაში თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკის გამოჩენილი სპორტსმენების გამოსვლებმა რაიონებში, ასპარეზობებმა სპორტის დამსახურებული ოსტატების სახელობის პრიზებზე. ეს ტრადიცია უნდა აღვადგინოთ.

* * *

სურათზე: ე. გოკიელი ესაუბრება მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის მონაწილეებს.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

ნ. დვალიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მე, როგორც საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, განსაკუთრებით მაღელვებს ამ სახეობის მერმისი და აქედან გამომდინარე, საერთოდ, ჩვენი მძლეოსნობის მომავალი.

სპორტის რომელიც გნებავთ სახეობაში დიდ სარბიელზე გამარჯვება ისე არ მოვა, თუ მას საფუძველი არ ჩაეყარა სკოლაში და შემდეგ ამ საფუძველზე თანდათან არ „ამოიზარდა" ტექნიკურად, ტაქტიკურად და ფიზიკურად სრულყოფილი სპორტსმენი. ამრიგად, მძლეოსნობის სწავლება ყველაზე მეტად საჭიროებს საშუალო სკოლაში მაღალხარისხოვნად დაყენებას. სამწუხაროდ, ამ მხრივ არაფერი გვაქვს სასიქადულო იმ სკოლებშიც კი, სადაც მძლეოსნობა სავალდებულოდ ითვლება (ამ მხრივ გამონაკლისია სპორტული სკოლა-ინტერნატები და ორიოდე საშუალო სასწავლებელი).

საშუალო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლები ხშირად იოლი გზით სიარულს არჩევენ: აკადემიურ საათებს სპორტთამაშებით ამოწურავენ ხოლმე და თავს არ იწუხებენ იმისთვის, რათა ბავშვებს შეაყვარონ მძლეოსნობა.



## გუშინ...

რუსთავში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის I ეტაპი მოტოკროსში. 250 კბ სმ-ის მანქანებით რბოლაში გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა ვ. არბეკოვმა (მოსკოვი), ხოლო 500 კბ სმ-ის მოტოციკლებით რბოლა მოიგო რიგელმა ზ. კალკისმა.

ფეხბურთი

## კვანძარდში — ჩვენი გუნდები

თბილისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 6 მარტი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — ასკ (ოდესა) 1:1 (0:1).

„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ოდიკაძე, ფრიდმანი, ძაგანია, მუმლაძე, ძიძიგური (ქელიძე), გავაშელი, ახალკაცი, კომკელოვი.

ასკ: კარაკოზოვი, დუბინსკი, რიბაკი, მასლოვსკი, პანოვი, გრებენიკი, პროსიკოვი, სპირიდონოვი, სოტაევი, პრიგორკო, ნემიროვსკი.

მსაჯი: ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

თბილისელებმა საკმაოდ აქტიურად ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი, მაგრამ მარცხიანად დაამთავრეს იგი: თავდამსხმელთა მიერ გამოუყენებელ რამდენიმე შესაძლებლობას დაემატა ისიც, რომ ოდიკაძემ უზუსტოდ ითამაშა საკუთარ მეკარესთან და ბადეში გაგზავნა ბურთი — 0:1.

„ლოკომოტივის" უპირატესობა განსაკუთრებით ნათელი შეიქნა მეორე ტაიმში. არმიელთა კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, რომლებსაც გაჭირვებით იგერიებდნენ დაცვა და მეკარე. ამას გარდა, ისინი დაუფარავად, აშკარად უხეშობდნენ. ამ „საქმიანობაში" განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კარაკოზოვი, მასლოვსკი და გუნდის კაპიტანი დუბინსკი. მსაჯი იძულებული შეიქნა მინდვრიდან გაეძევებინა მასლოვსკი.

საპასუხო ბურთი 69-ე წუთზე გაიტანა გავაშელმა, რომელმაც თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი კარაკოზოვს — 1:1.

გათამაშება ქვეჯგუფებში დამთავრდა. საქართველოს გუნდებმა — თბილისის „ლოკომოტივმა" და ბათუმის „დინამომ" ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში დიდ წარმატებას მიაღწიეს და 1 ადგილები დაიკავეს. ახლა ისინი ერთმანეთს შორის გაითამაშებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზს.

რ. ქორიძე.

## გუშინ...

თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ პრეშოვის „ტატრანი" (ჩეხოსლოვაკია) და ოდესის ასკ. ეს იყო მატჩი V ადგილისთვის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

მაგრამ საფეხბურთო დავა ამით არ შეწყვეტილა. დებულების თანახმად, ორივე გუნდის კარში დამატებით დაინიშნა 11-11 პენალტი, რომლებიაც დაარტყა ყველა მოთამაშემ. ოდესელთა კარი რვაჯერ იქნა აღებული, ხოლო ჩეხებისა — შვიდჯერ. ამრიგად, გამარჯვება და V ადგილი მიეკუთვნა „ტატრანს".

ხელბურთი

## მზადების პროგრამით

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირისა და საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების განმეორებითი შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა — ფაქტიურად, თბილისის „ბურევესტნიკმა" — ეს მატჩიც საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით ჩაატარა. მასპინძლებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 20:27 (12:13). მოგვყავს ამ მატჩის ოქმის ამონაწერი.

სასტარტო შემადგენლობები: საქართველო — ხუციშვილი, ცერცვაძე (გაიტანა 3 გოლი), ფხაკაძე (5), ბაგრატიონი (1), ექვთიმიძე, ზარდალიშვილი, კარტოზია (2). ითამაშეს აგრეთვე კოპალეიშვილმა (5), ზაქარიაძემ, სხიერელმა (2), კიკაბიძემ (2) და გაზდელიანმა; სსრ კავშირი — აბაიშვილი, ლებედევი (3), კლიმოვი (6), ველდრე (1), მაზური (6), ეიზიტავიჩუსი (3), პეჩენინი (1). შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ზდორენკო (6) და რუსაკოვი (1).

ანგარიში ასე იცვლებოდა: 1:0, 1:1, 3:1, 3:2, 4:2, 4:6, 5:6, 5:10, 6:10, 6:11, 7:11, 7:12, 9:12, 9:13, 12:13; 12:15, 13:15, 13:17, 16:17, 16:18, 17:18, 17:22, 18:22, 18:26, 20:26, 20:27.




### გრენობლში მიდის... აერომატარებელი

**ამ** მატარებელს ბორბლები არა აქვს. იგი უფრო თვითმფრინავს გავს, რომელსაც უკან პროპელერი აქვს გაკეთებული. მატარებელი მოძრაობაში მოყავს 250-ცხენისძალიანი სიმძლავრის საავიაციო ძრავას. ეს „ტრანსპორტი" მიჰქრის საჰაერო ბალიშზე რკინა-ბეტონის კალაპოტში.

ეს პირველი ფრანგული აერომატარებელია, რომლის გამოცდა ამ დღეებში დაიწყო. უკვე ნაჩვენებია 140 კილომეტრამდე სიჩქარე საათში. მიზანი კი 200 კილომეტრია! აერომატარებლის პირველი რეგულარული მიმოსვლა განზრახულია ლიონსა და გრენობლს შორის.

ასე რომ, აერომატარებლის ერთ-ერთი პირველი მგზავრები იქნებიან სპორტის მრავალრიცხოვანი მოყვარულნი, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოვლენ გრენობლის 1968 წლის „თეთრ ოლიმპიადაზე".

### 26 წლის ლოდინის შემდეგ

**26** წელი ელოდა პ. ოპერმანი (ავსტრალია) საველოსიპედო მარათონში თავისი მსოფლიო რეკორდის დამტკიცებას. 1939 წლის 4-5 დეკემბერს მან 24 საათში 506 მილი გაიარა ასეთი მარშრუტით: მილისენტი (სამხრეთ ავსტრალია) — ლეიკ-ენტრანსი (ვიქტორიას შტატი). ეს მიღწევა საუკეთესო იყო ისტორიაში. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს ავსტრალიის ველოსპორტის კავშირმა ვერ მიიღო ინფორმაცია ამ რეკორდის დამტკიცების თაობაზე, ხოლო შემდეგ იგი საერთოდ დაივიწყეს.

და აი, ოპერმანის რეკორდი ახლა იქნა დამტკიცებული. ვადა, რომელიც ამ საქმეს დასჭირდა, აგრეთვე თავისებური მსოფლიო რეკორდია.

ოპერმანმა ამ ხნის განმავლობაში სრულებით მიატოვა სპორტი და ავსტრალიის მინისტრი გახდა იმიგრაციის საკითხებში.

## ყოველი მხრიდან

### მსოფლიო ჩემპიონის პროექტების მიხედვით

**მსოფლიოს** ოთხგზის ჩემპიონმა, სახელგანთქმულმა პოლონელმა ესპადრონისტმა ვ. ზაბლოცკიმ სილეზიელ აჯანყებულთა ძეგლის პროექტისთვის I პრემია დაიმსახურა.

მოფარიკავე-არქიტექტორმა დიდი სპორტი დასტოვა და თავი გამოიჩინა პოლონეთში ახალი სპორტული ბაზების დაპროექტების დარგში, ხოლო ამას წინათ იგი პოლონეთის სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებით გამოვიდა საფრანგეთში. რასაკვირველია, იგი შეეხო პოლონელ მოფარიკავეთა წარმატებებსაც.

## ვინ უფრო ჭკვიანია?

ამერიკულმა პრესამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონი კასიუს კლეი და ამ წოდების პრეტენდენტი — ასევე ამერიკელი ერნი ტერელი შეთანხმდნენ, რომ მათი მატჩი გაიმართება 29 მარტს ან 19 აპრილს ჩიკაგოში. კლეიმ დაჟინებული თხოვნით გაინაღდა შემოსავლის 50 პროცენტი. გარდა ამისა, მას ყოველგვარ პირობებში მისცემენ იმ თანხის ნახევარზე მეტს, რომელსაც რადიო და ტელეხედვა იხდიან მატჩის გადაცემისთვის. ტერელი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო შემოსავლის. მხოლოდ 20 პროცენტით, თუმცა შეხვედრის ორგანიზატორთა გაანგარიშებით ეს თანხა მიაღწევს 150 ათას დოლარს (ამჟამად ყველაზე ძვირი ბილეთები იყიდება 100 დოლარად).

რასაკვირველია, ორივე მოკრივე ცდილობს თავის გარშემო ატეხოს რაც შეიძლება დიდი სარეკლამო აურზაური. ტერელის მომხრეებმა კასიუს კლეის სუსტი სიმი გამოუნახეს. საქმე ის არის, რომ უკვე რამდენიმე წელია არმიაში გამწვევი კომისია შესაბამისი შემოწმების შემდეგ კლეის ასეთ დასკვნას აძლევს: „არ გამოდგება სამხედრო სამსახურისთვის უკმარი გონებრივი განვითარების გამო". ეს დასკვნა ამ დღეებში მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ კვლავ ძალაში დარჩა. ამიტომ იყო, რომ კლეი ისევ დაცინვის ობიექტი გახდა.

ერთ-ერთი საუბრის დროს მსოფლიო ჩემპიონს ჟურნალისტებმა ასეთი შეკითხვა მისცეს:

— იდიოტი ხომ არა ხართ, მისტერ კლეი?

— თვითონ ხართ იდიოტი, — უპასუხა გაავთრებულმა კლეიმ. — თქვენ თუ იდიოტი არა ხართ, მაშინ გაიგებდით, რომ არმიაში სამსახურის თავიდან აცილებისთვის საჭიროა გაცილებით მეტი გონებრივი განვითარება, ვიდრე არმიაში სამსახურისას. არმია ძალიან სახიფათო ბიზნესია, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენ ინდოჩინეთში ვიბრძვით. მე ხელს არ მაძლევს შუბლში ტყვია. სულ სხვა საქმეა რინგი. ჯერ ერთი, იგი არც ისე სახიფათოა, მერე კი, აქ შეიძლება საკმაო ხეირი ნახო. ახლა განსაჯეთ, ვინ უფრო ჭკვიანია: ვინც ლომის ხახაში თავს ჩრის, თუ ის, ვინც ამჯობინებს თავად შესანსლოს ლორის თავი?

(ახალი ამბების სააგენტო).

ფეხბურთი

# თასები, ჩემპიონატები, ლიდერები

„ლელოს" საკუთარი ინფორმაცია

### სენსაცია

**შაბათს** ჩატარდა ინგლისის თასის გათამაშების V ტური. მოულოდნელი იყო ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის — ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" წაგება II ლიგის „პრესტონ ნორთ ენდთან" — 1:2. მართალია, ანგარიში ლონდონელმა გრივსმა გახსნა, მაგრამ შემდგომში ჯონსონმა და ჰანიგანმა ანგარიში თავიანთი გუნდის სასარგებლოდ შეცვალეს.

„ვულვერჰემპტონ უონდერერსი", რომელიც ამჟამად II ლიგაში თამაშობს, შეხვდა ქვეყნის ჩემპიონს — „მანჩესტერ იუნაიტედს". პირველ 9 წუთში ჩემპიონის კარში დაინიშნა ორი 11-მეტრიანი საჯარიმო და ორივე გატანილ იქნა. 23-ე წუთზე ლოუმ თავისი რეიდი გოლით დაამთავრა — 1:2. მეორე ნახევარში მან ბრწყინვალე თავური დარტყმით გაქვითა ანგარიში — 2:2. ფინალურ სასტვენამდე ლოუს მიერ წამოწყებული კომბინაციები გოლით დააგვირგვინეს ბესტმა და ჰერდმა — 4:2.

„მანჩესტერი" მეოთხედფინალში გავიდა.

დანარჩენი მატჩების შედეგებია: „ჩელსი"—„შრუსბერი" 3:2, „ევერტონი" — „კოვენტრი" 3:0, „ჰადერსფილდი" — „შეფილდ უენსდეი" 1:2, „ჰალი" — „საუთპორტი" 2:0.

შაბათს ჩატარდა ჩემპიონატის მატჩებიც: „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ასტონ ვილა" 4:2, „ნორთჰემპტონი" — „ლიდს იუნაიტედი" 2:1, „არსენალი" — „ბლეკპული" 0:0, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „სანდერლენდი" 2:0.

ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 32 | 67:28 | 47 |
| „მანჩესტერ იუნაიტ". | 30 | 61:40 | 39 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 29 | 55:25 | 38 |

### ...და უხეშობით

**გათამაშების** III ტურში მწვავე ბრძოლით (და უხეშობით) აღინიშნა შეხვედრა ედინბურგში ადგილობრივ „ჰარტ ოვ მიდლოტიენსსა" და გლაზგოს „სელტიკს" შორის. მსაჯმა მატჩიც კი შეწყვიტა და 10 წუთის განმავლობაში სტადიონის ადმინისტრაცია და პოლიცია წესრიგს ამყარებდნენ მინდორზე, სადაც ასობით მაყურებელი შეიჭრა. მატჩი ფრედ დამთავრდა — 3:3.

შოტლანდიის თასის გათამაშების სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „გლაზგო რეინჯერსმა" მოუგო „სენტ-ჯონსტონს" 1:0, „დანფერმლაინ ატლეტიკმა" — „კილმარნოკს" 2:1, „აბერდინმა"—„დამბარტონს" 3:0.

### წინ არიან მადრიდელები

**კვირას** მადრიდის „ატლეტიკომ" მიიღო „პონტევედრა". ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა „ატლეტიკომ". მეორე ნახევარში კარდონამ, ადელარდომ და კოლარმა კიდევ 3 გოლი გაიტანეს სტუმართა კარში — 4:0.

მადრიდის „რეალმა" ფრედ ითამაშა „მალაგასთან" — 0:0. მადრიდელთა კარი რამდენიმე აშკარა გოლისგან იხსნა მეკარე ბეტანკორმა.

„რეალ-სარაგოსას" ცენტრფორვარდის მარსელინოს ერთადერთმა გოლმა „საბადელის" კარში მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

სევილიაში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს „ბარსელონასთან" ანგარიში მიჰყავდა (1:0), მაგრამ სტუმართა ნახევარმცველმა ფუსტემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „კორდოვა" — „ვალენსია" 1:0, „ელჩე"—„მაიორკა" 3:2, „ესპანიოლი" — „ბეტისი" 1:1, ბილბაოს „ატლეტიკო" — „ლას-პალმასი" 1:1.

ლიდერთა ექვსეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 26 | 44:26 | 37 |
| „ატლეტიკო" (მადრ.) | 26 | 46:19 | 36 |
| „ბარსელონა" | 26 | 44:23 | 34 |
| „რეალ-სარაგოსა" | 26 | 41:28 | 31 |
| „ატლეტიკო" (ბილბ.) | 26 | 37:26 | 30 |
| „პონტევედრა" | 26 | 27:30 | 28 |

## მაღლა, სწრაფად...

ალბუკერკი (აშშ), 7 მარტი. ადგილობრივ სპორტულ დარბაზში, ქვეყნის ღია ჩემპიონატის გათამაშებისას, ყველაზე მაღლა აფრინდა 19 წლის ბ. სიგრენი. იგი ჭოკით 519 სმ-ზე გადახტა და თანამემამულე ჯ. პენელის ამასწინანდელი მსოფლიო მიღწევა (დახურული დარბაზებისთვის) 7 სმ-ით გააუმჯობესა. გაუმჯობესდა მსოფლიო მიღწევა სამხტომშიც: ა. უოკერმა (აშშ) აჩვენა 16,70 მ, რაც წინანდელს 33 სმ-ით ჯობს.

880 იარდზე ქალთა რბენაში მსოფლიოს ახალი მიღწევის ავტორი გახდა უნგრელი ჟ. ნადი—2.08,6. მასპინძელთაგან თავი ისახელეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. მაკგუაირმა, რომელმაც 220 იარდი 24,1 წამში გაირბინა (წინანდელი მიღწევა 24,4 წამს უდრიდა), ვ. ტაიუსმა (60 იარდი — 6,5), შ. კუკმა (440 იარდი — 54,2, რაც 1,4 წამით უკეთესია ავსტრალიელი ჯ. ემერის მსოფლიო მიღწევაზე).

ჩემპიონატის სხვა შედეგებიდან უნდა აღინიშნოს ჯონ მაკგრატის (აშშ) შედეგი ბირთვის კვრაში — 19,59 მ და ჯონ თომასისა — სიმაღლეზე ხტომაში — 213 სმ.

## ფეხბურთის ნაცვლად... ჩხუბი

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ნიჭიერ ჰოლანდიელ მოქანდაკეს მარტინ ვან დერ ვალს სპორტის სასახლის დასამშვენებლად ბარელიეფის გაკეთება შესთავაზეს. მარტინი გატაცებით შეუდგა მუშაობას. იგი ესტუმრა ათობით ტანვარჯიშულ დარბაზს, ნახა ასობით მძლეოსანი, საათობით აკვირდებოდა საჩოგბურთო ბრძოლებს და თვითონაც კი ისპარეზა გოლფში, მაგრამ მოქანდაკემ ვერსად ნახა ბარელიეფისთვის შესაფერისი თემა, სანამ არ დაესწრო პროფესიული გუნდების საფეხბურთო მატჩს.







— მე მივხვდი, — თქვა მარტინმა, — რომ ფეხბურთი, როგორც პოპულარობით, ისე თავისი დინამიურობით არის სპორტის მეფე. სწორედ ამიტომ გამოვიყვანე ფეხბურთელები ჩემი ბარელიეფის გმირებად.

ასე იშვა ბარელიეფი სახელწოდებით: „მეფე — ფეხბურთი" (ქვედა სურათი). მაგრამ მან რატომღაც ბევრი საყვედური დაიმსახურა. ალბათ ყველა ელოდა, რომ მოქანდაკე გამოსახავდა ფეხბურთის მატჩის იდილიურ მომენტს, როცა ერთი სპორტსმენი დამშვიდებით ართმევს ბურთს მეორეს. მაგრამ მარტინმა ხისგან გამოჭრა 22 ფეხბურთელი და 3 მსაჯი თამაშის დროს. მან გამოსახა მომენტი, როცა ერთი ფეხბურთელი ბურთის ნაცვლად მეტოქეს ურტყამს ფეხს, მეორე მომენტი კი ასე ასახა: დარტყმისაგან გაფრენილი ფეხბურთელი კისრითაა მიწაზე დარჭობილი.

გაზეთებმა იჩქარეს დაეწერათ, რომ ქანდაკება „წარმოადგენს ტენდენციურ პაროდიას ფეხბურთზე".

— არაფერიც, — უპასუხა მოქანდაკემ და ამის დასამტკიცებლად წარადგინა ორი ფოტოგრაფია (იხ. ზედა სურათები), რომლებიც გადაღებული იყო პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდების მატჩების დროს. — ჩემს ნაწარმოებში წმინდა რეალიზმია.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 10 მარტს.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

### თბილისის სპორტული ბაზრობა

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. 8 მარტი. ფეხბურთელთა ზამთრის ტურნირის ფინალი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. **„ლოკომოტივი"** (თბილისი) — **„დინამო"** (ბათუმი). დასაწყისი 14 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 8-21 მარტი. თბილისის ქალთა ჩემპიონატის ფინალი. დასაწყისი 17 ს.

**მძლეოსნობა.** „დინამოს" სტადიონი. 8 მარტი. საქართველოს ზამთრის პირველობა მოსწავლეთა შორის. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01472